პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 ნოემბერი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 223 (9890) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მინისტრთა II მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმება მოსკოვში შეკრებილ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მინისტრთა II მსოფლიო კონგრესის მონაწილეებსა და სტუმრებს. თქვენს ფორუმს ჩვენ განვიხილავთ, როგორც დიდ მოვლენას მთელი მსოფლიოს საზოგადოების ცხოვრებაში, რომელიც მოწოდებულია ახალი იმპულსი მისცეს ამ დარგში საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის განვითარებას.

ფიზიკური კულტურა და სპორტი კაცობრიობის ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი გახდა, იზრდება მისი როლი ხალხის თავისუფალი დროის ორგანიზაციის, ჯანმრთელობის გაკაჟებისა და პიროვნების ჰარმონიულად განვითარების საქმეში. ეს კეთილშობილური მიზნები სპორტს ხალხთა დაახლოების, ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცების, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის განვითარების ბრწყინვალე საშუალებად აქცევს.

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრიობაც და სახელმწიფოც ისწრაფიან, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი გახდეს ყოველი ადამიანის, ყოველი ოჯახის ცხოვრების თანამგზავრი და მიანიჭებს რა მათ სიხარულს, ხელი შეუწყოს საზოგადოების, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის საქმის შემდგომ წინსვლას მისი საქმიანობის ყველა სფეროს გარდაქმნის პირობებში.

თქვენი კონფერენცია ტარდება იუნესკოს ეგიდით, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების პროცესში. იუნესკოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამთავრობათაშორისო კომიტეტის შექმნის შემდეგ განვლილი ათი წლის მანძილზე გაიზარდა სპორტული ღონისძიებების რიცხვი, რომლებიც ხელს უწყობენ ხალხთა შორის მეგობრული კავშირის გაფართოებას. ამის მაგალითია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მინისტრთა II მსოფლიო კონფერენცია, სადაც განსახილველად გამოტანილია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის მონაწილეობა ბირთვული საშიშროების წინააღმდეგ მოძრაობაში, დედამიწაზე მშვიდობა შესარჩუნებლად [illegible] სპორტის შემდგომ განვითარებაში. მისი კეთილი [illegible] ვაში [illegible] სპორტში [illegible] ლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი წარმომადგენლობითი კონფერენცია, იდეებითა და გამოცდილებით ურთიერთგამდიდრება ხელს შეუწყობს პროგრესს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში, ახალ წვლილს შეიტანს საერთაშორისო სპორტული მოძრაობის განვითარებაში.

წარმატებასა და ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებთ კონფერენციის მონაწილეებსა და სტუმრებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

გუშინ გამოქვეყნდა

19 ნოემბერს გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც განიხილეს საკითხი: „რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ სსრ კავშირის კანონთა პროექტების საყოველთაოსახალხო განხილვის მიმდინარეობის თაობაზე“.

პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ მიუღებელია 198-ე მუხლის მეორე პუნქტისა და 119 მუხლის მე-13 პუნქტის პროექტში შემოთავაზებული რედაქცია. უნდა გადაისინჯოს აგრეთვე 111-ე მუხლი. დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია სხვა საკითხებზეც.

პრეზიდიუმის სხდომისა და დადგენილების ვრცელი ტექსტი გუშინ გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში.

მხატვრული ტანვარჯიში! ვის არ ხიბლავს მისი რომანტიკული სამყარო. ამ გოგონებისთვის ეს სამყარო ჯერ კიდევ იდუმალებით არის მოცული. ისინი ახლა იწყებენ მასთან მიახლოებას, გაივლის წლები და პირველი ნაბიჯები მოგონებად იქცევა. ამ გოგონების ნაცვლად კი დარბაზის შესასვლელთან კვლავ დადგებიან ახალბედები, ისინიც ასეთივე რიდით და ცნობისმოყვარეობით გახედავენ უკვე დოსტატებულ მათზე უფროს ტანმოვარჯიშეებს.

ასეთია სპორტის კანონი.

ბაბრაში დამთავრდა რესპუბლიკის IV ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში. უამინდობის გამო სამჯიდელთათვის საველე გამოცდა (კროსი) არ ჩატარებულა. ამიტომ საბოლოოდ ამ სახეობაში შედეგები შეჯამდა მხოლოდ ორჭიდში (სამანეეო სვლა და დაბრკოლებათა გადალახვა). პირველი ადგილი და რესპუბლიკის ჭაბუკთა თამაშების ჩემპიონის წოდება წილად ხვდა თბილისის საცხენოსნო ბაზის წარმომადგენელს, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრს ივანე ყურუას.

სურათზე: ი. ყურუა.

მოკრივეთა ტურნირებზე

ჩვენში ჭაბუკ მოკრივეთა უამრავი სახელობითი შეჯიბრება იმართება. მათგან, უმეტესობა მემორიალური გახლავთ. და ეს ასპარეზობები დიდ სამსახურს გვიწევს მოზარდი თაობის პატრიოტულ აღზრდაში. ვის არ ეამაყება ლეგენდარული მზვერავის მედვედევის ტურნირის გამარჯვებულის სახელი. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთ ტურნირებს, როგორიცაა ოლიმპიურ რინგზე საბჭოთა მოკრივეთაგან ერთ-ერთი პირველი გზის გამკვალავის, მელბურნის XVI თამაშების ჩემპიონ გენადი შატკოვის ტურნირი, რომელიც ტრადიციულად იმართება მის მშობლიურ ლენინგრადში და გამარჯვებულებსა და პრიზიორებს თავად ჩემპიონი აჯილდოებს.

გ. შატკოვის XIV ტურნირმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ჩვენი ქვეყნის 15 სხვადასხვა ქალაქის თითო და ოთხ ადგილობრივ გუნდს (სულ 112 მონაწილე) მოუყარა თავი. ესენი იყვნენ 1972-73 წლებში დაბადებული ჭაბუკები. ჩვენი რესპუბლიკის ხუთმა წარმომადგენელმა, რომელთაგან ოთხი საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტსკოლის აღსაზრდელია, საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

შესანიშნავად განვლო ასპარეზობა გორელმა მოსწავლემ ზაურ ელიოზოშვილმა (50 კგ), რომელმაც წინასწარი ბრძოლები დამაჯერებლად მოიგო, ფინალში კი ყარაგანდელ მ. საგნაევს სძლია. ტურნირის მეორე პრიზიორი გახდა თბილისელი მ. მამიანი (66). მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს მისმა თანასკოლელებმა ი. დედუშენკომ (46), ო. აკოფიანმა (48) და დ. მურადაშვილმა (57).

დიდი ყურადღება მიიქცია დედუშენკომ — თქვა სახალხო განათლების რესპუბლიკური სკოლის უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ჯ. გოგიაშვილმა, — იგორმა ნახევარფინალში წააგო ორთაბრძოლა ლენინგრადის თასის მფლობელ დიმიტრი სადკოვთან, რომელმაც საბოლოოდ ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა.

• • •

ამავე ასაკის ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე, რომელსაც დონის როსტოვის მასპინძლობდა, ჩემპიონის საპატიო წოდებები მოიპოვეს ფოთელმა კობა გოგოლაძემ (44 კგ, პროფკავშირები), თბილისელებმა არმენ გევორქიანმა (48) და კახა ბარავმა (50, ორივე — „შრომითი რეზერვები“) და ქუთაისელმა მათე კოღუაშვილმა (63, „შრომითი რეზერვები“).

ვერცხლის პრიზიორები გახდნენ ფოთელი ა. გვასალია (50, პროფკავშირები), ქუთაისის „შრომითი რეზერვების“ აღსაზრდელები მ. კაპანაძე (63) და გ. გოლეთიანი (66), „ბრინჯაო“ წილად ხვდათ ქუთაისელ სპორტსმენებს კ. ჯაილავასა (50) და ო. ნემსიწვერიძეს (57, ორივე — „შრ. რეზ.“) და ფოთელ ზ. სარსანიას (79, პროფკავშირები).



კარგად ორგანიზებული შეჯიბრება ახალბედა სპორტსმენებს არანაკლებ სჭირდებათ, ვიდრე ტიტულიანებს. ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტნაგებობათა სამმართველოს თბილისის სპორტკომპლექსთან არსებულმა ბავშვთა სპორტული კლუბის დიდ პირველობამ, რომელშიც 12-13 წლის ბიჭები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებამ თბილისის, ვარკეთილის, რუსთავისა და მარნეულის 152 კლასიკური სტილით მოჭიდავეს მოუყარა თავი.

თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ბევრგანაა შექმნილი ბავშვთა სპორტული კლუბი, მაგრამ ერთეულები თუ ასრულებენ თავის დანიშნულებას.

თბილისში ამ დღეებში გამართულმა ნორჩ ფალავანთა ასპარეზობამ დაგვარწმუნა, რომ იქ, სადაც ყურადღებას იჩენენ, ბავშვთა სპორტული კლუბები მომეცადინეთა ჯანმრთელობის განმტკიცებასთან ერთად ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენასაც ემსახურება.

ჯემალ კასრაძის ტექსტი და ფოტო.

ხელოვნება – ეკიპაჟი



ნიუ-იორკი. პროფესიონალ ჰოკეისტთა ჩემპიონატში გაიმართა მე-19 ტურის მატჩები: „ნიუ-იორკ რეინჯერსი“ — „ლოს-ანჯელეს კინგზი“ 6:5, „მონრეალ კანადიენსი“ — „ბოსტონ ბრიუინზი“ 5:2, „სენტ-ლიუის ბლიუზი“ — „ფილადელფია ფლაიერზი“ 3:1, „კალგარი ფლეიმზი“ — „ნიუ-ჯერსი დევილზი“ 5:3, „მინესოტა ნორდ სტარზი“ — „ვანკუვერ კენაკსი“ 7:6. ჯგუფებში ლიდერობენ: „ნიუ-იორკ რეინჯერსი“ (23 ქულა), „ბოსტონ ბრიუინზი“ (23), „დეტროიტ რედ უინგზი“ (22), „კალგარი ფლეიმზი“ (29).

სან-ხუანი (პუერტო რიკო). მომავალ წელს არგენტინაში ჩატარდება პირველი პანამერიკული თამაშები ზამთრის სახეობებში. შეჯიბრებას უმასპინძლებს მენდოსას პროვინცია, რომელიც ანდების ძირშია განლაგებული. გამოცხადდა აგრეთვე, რომ 1995 წლიდან მოყოლებული თამაშების პროგრამაში ხელბურთის ნაცვლად შეტანილი იქნება ბადმინტონი და რეკეტბოლი.

ესბერგი (დანია). ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალურ ტურნირში ცსკა-ს ჰოკეისტებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს — დაამარცხეს უნგრეთის „დოჟა უიპეშტი“ 23:2. ამავე ჯგუფში ბერლინის „დინამომ“ (გდრ) აჯობა დანიის ეიკ-ს (ქალაქ ესბერგიდან) — 8:3.

მოსკოვი. ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე (დინამიადა) გამოვლინდნენ გამარჯვებულნი გოგონათა და ჭაბუკთა შორის. გოგონებში პირველი ადგილი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში საბჭოთა კავშირის ნორჩი დინამოელები დაამარცხეს — 3:2. ბრინჯაოს მედლები გდრ-ის ფრენბურთელებს ერგოთ. ჭაბუკთა ტურნირის ფინალში საბჭოთა კავშირის „დინამომ“ კსდრ-ს „ამნოკანს“ მოუგო — 3:0.

დასავლეთ ბერლინი. ცხენოსნობაში (დაბრკოლებათა გადალახვა) მსოფლიო თასის გათამაშების ევროპის მესამე შესარჩევი ეტაპი ყველასათვის მოულოდნელად ფრანგმა როჟე ივ ბოსტმა მოიგო. მას საჯარიმო ქულა არ მიუღია. ასევე წმინდად გაიარა ტრასა შეჯიბრების კიდევ ორმა მონაწილემ, მაგრამ ფრანგ ცხენოსანს უკეთესი დრო აღმოაჩნდა.

ოსლო. ნორვეგიის მოთხილამურეთა ფედერაციამ გამოაცხადა იმ სპორტსმენთა გვარები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიო თასის გათამაშების პირველ შეჯიბრებაში. ნაკრებში მოხვდნენ: ინგე კიერუმი, ერიკ იონსენი, უვე ეიდჰამერი და ბეგარდ ოპასი. ხტომები მოეწყობა 3-4 დეკემბერს ტანდერ-ბეიში (კანადა) და შემდეგ ლეიკ პლესიდში (აშშ) გაგრძელდება.

მადრიდი. საბჭოთა კავშირის რეგბისტებმა ევროპის ჩემპიონატის მატჩში ესპანეთის ნაკრები დაამარცხეს — 21:9 (3:3).

ზაბრები. იუგოსლავიის ღია ჩემპიონატი მაგდის ჩოგბურთში 17 წლის დიმიტრი მაზუნოვმა მოიგო. ფინალში მან მსოფლიოს მეორე ჩოგანი, შვედი იან-უვე ვალდნერი დაამარცხა — 3:1. ქალთა შორის პირველი ადგილი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ლი ბუნ ხუს ხვდა.

რეგბისტთა XXV საკავშირო ჩემპიონატი კარგა ხანია დამთავრდა. დამთავრდა ქართული რეგბის მორიგი დიდი გამარჯვებით — ქუთაისის „მშენებელმა“ თამაშ-თამაშ, ძალდაუტანებლად, ისე, რომ 32 ტურის მანძილზე თითქმის არ დაუთმია ლიდერობა, შეინარჩუნა ჩემპიონის წოდება. ურიგოდ არც თბილისის რკინიგზელთა რეგბის კლუბი „ელმავალი“ გამოსულა: უმაღლესი ლიგის 12 გუნდს შორის VII ადგილი დაიკავა.

ᲥᲐᲛᲘ ᲨᲘᲥᲠᲘᲨᲘᲐ,
ᲥᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲘᲜᲯᲘᲨᲘᲐ

ᲐᲚᲐᲠ ᲡᲣᲠᲗ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲠᲪ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐᲗ

ᲐᲮᲚᲐ, როცა სეზონის შედეგების შეჯამების დრო დადგა, ცხადია, კიდევ ერთხელ უნდა გადავავლოთ თვალი განვლილ ჩემპიონატს, უფრო დინჯად და გამოწვლილვით მიმოვიხილოთ ჩვენი რეგბისტების თამაში. დავიწყებთ თბილისელთა გუნდით, ვინაიდან, „მშენებელს“, როგორც „საქართველოს წლის საუკეთესო გუნდის“ ტიტულის უპირველეს მოცილეს, საახალწლოდ წარვუდგენთ მკითხველს.

ჩემპიონატში თბილისელთა წლევანდელი გამოსვლის მიმართ საკითხი ასე ისმის: „წარმატებაა თუ წარუმატებლობა გუნდის მიერ დაკავებული მეშვიდე ადგილი?“ თუ გავიხსენებთ, რომ თბილისელი რკინიგზელები უკლებლივ ყველა საკავშირო პირველობაში უძლიერესთა შორის ასპარეზობენ, იმასაც რომ გუნდი ჩემპიონატების ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორია, მეშვიდე ადგილი, ცხადია, კარგ შედეგად ვერ ჩაითვლება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამგვარი შეფასება დღესდღეობით მცდარი და ნაჩქარევი იქნება.

თავად განსაჯეთ. რკინიგზელთა ყველა წარმატება 1982 წლამდე პერიოდზე მოდის. შემდეგ თბილისურ რეგბიში ყოვლისმომცველი ხანგრძლივი კრიზისი დაიწყო (მიზეზების ჩხრეკას ახლა არ შევუდგებით, ვინაიდან ორი წლის წინ ყველაფერი პირუთვნელად ითქვა „ლელოს“ ფურცლებზე). 1984-86 წლებში გუნდს ერთთავად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ეჭირა თვალი და „მხსნელ“ მეთორმეტე ადგილს იკავებდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეიკრიბა ბრძოლისუნარიანი შემადგენლობა, მაგრამ 1987 წელს, შუა ჩემპიონატში, სავალალო გაუგებრობის გამო მას სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს. ჭეშმარიტების დადგენას შვიდი თვე დასჭირდა. წლევანდელი პირველობის დაწყებამდე თვენახევარიღა რჩებოდა, როცა დასჯილი რეგბისტები „შეიწყალეს“ და „ლოკომოტივი“ ისევ ჩაება ჩემპიონატში, ოღონდაც... სახელგამოცვლილი და საწვრთნელი ბაზის აღარმქონები.

ბაზასა და სხვა საორგანიზაციო საკითხებს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით, ჯერ კი ჩემპიონატში გუნდის გამოსვლის სპორტულ მხარეზე გავამახვილოთ ყურადღება. წელს „ელმავალმა“ ბოლო შვიდ სეზონში საუკეთესო შედეგი უჩვენა, დააგროვა რა ქულათა 48,44% (ბურთების შეფარდება 375:438). დაკავებული VII ადგილიც ამ პერიოდის უმაღლესი მიღწევაა. თუ ხელწამოსაკრავ აუტსაიდერად შერაცხულ გუნდს 1984-86 წლებში საერთოდ არ დაუმარცხებია მოსკოვის „სლავა“, „ფილი“, „ლოკომოტივი“, კიევის „ავიატორი“, მონინოს სსა, ალმა-ათის ასკ, წელს, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდის გარდა, მან ჩემპიონატის ყველა სხვა მონაწილეს მოუგო, ზოგიერთს — რამდენჯერმეც. პროგრამა მინიმუმი — უმაღლეს ლიგაში დარჩენა — „ელმავალმა“ ჯერ კიდევ ივლისის დამლევს შეასრულა, როცა 12 ქულით ჩამოიტოვა უახლოესი მდევარი — მოსკოვის „ფილი“.

ჩემპიონატში თბილისელთა გამოსვლაზე ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ცხრილი, რომელშიც ეტაპობრივადაა შეჯამებული გუნდის მაჩვენებლები.

ეტაპი	თ.	შინ	სტ.	მ.	ფ.	წ.	ლელო
I	3	3	0	1	0	2	0:3
II	4	2	2	2	0	2	6:4
III	8	4	4	3	1	4	8:10
IV	7	2	5	4	0	3	10:11
V	6	3	3	3	0	3	15:17
VI	4	2	2	2	0	2	7:6
შინ	16	.	.	10	0	6	28:18
სტ.	16	.	.	5	1	10	18:33
სულ	32	16	16	15	1	16	46:51

როგორც მოსალოდნელი იყო, სეზონის დასაწყისში რკინიგზელებს ძალიან გაუჭირდათ. ცხრა თვის უთამაშებელ რეგბისტებს ეძნელებოდათ საერთო ენის გამონახვა, თამაშის ელემენტარული ხერხებიც დავიწყებული ჰქონდათ. მხოლოდ უმაგალითო თავდადების, სპორტული ჟინის, სწორად შერჩეული — სწორხასიათიანი, ძალისმიერი ტაქტიკისა და დამრტყმელის — ირაკლი ლეჟავას ოსტატობის ხარჯზე შეძლო გუნდმა ჩემპიონატის სტარტზე თავი არ შეერცხვინა. მერე და მერე სათამაშო პრაქტიკის მიღების კვალად და ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრებების შედეგად, გუნდმა რიგიანად დაიწყო თამაში. გამარჯვებებიც მოვიდა, უმაღლეს ლიგაში დარჩენა სათუო აღარ იყო და გალაღებულმა „ელმავალმაც“ მოსკოვში გამართულ შეხვედრებში ლამაზი, გააზრებული თამაშით მოხიბლა რეგბის იქაური მცოდნენი. თბილისელებს რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრა თითქმის გარანტირებული ჰქონდათ, როცა, ჯერ იყო და, გუნდის კაპიტანი და დაცვის ორგანიზატორი, შუამარბი თემურ შერაზადიშვილი დაშავდა და სეზონის ბოლომდე გამოაკლდა კოლექტივს, შემდეგ კი, მეოთხე ეტაპის წინ, ერთბაშად ოთხი წამყვანი ჰაბუკ რეგბისტი — ლეჟავა, ჩიქვინიძე, ნარიმანიძე და ღუდუშაური ჯარში გაიწვიეს, რითაც „ელმავალს“ ორი რგოლი — სამმეოთხედელთა და შერკინების მესამე ხაზები — მთლად დაეშალა. თანაც გუნდი უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე საამედო დამრტყმელის — ლეჟავას გარეშეც დარჩა მთელი ორი წლით. აქვე შევნიშნავთ, რომ წელს ირაკლიმ 14 მატჩში 30 საჯარიმო, 10 გარდასახვა და 1 არეკნი გაიტანა.

საბედნიეროდ, გაჭირვების ჟამს რკინიგზელებს დიდი შინაგანი რეზერვი აღმოაჩნდათ. ჯარმოვლილმა სამმა მორკინალმაც სულზე ჩამოუსწრო გუნდს, უკანა ხაზის ორი ძლიერი მოთამაშე — ჩავლეიშვილი და საცერაძე — სამედიცინო ინსტიტუტიდან და „შევარდენიდან“ მოვიდა. ასე რომ, თუ სეზონი ერთმა შემადგენლობამ დაიწყო, მეორემ, საგრძნობლად განსხვავებულმა, დაამთავრა, და რაგინდ უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს, ამ უკანასკნელმა, საყოველთაო სკეპტიციზმის მიუხედავად, აჯობა გუნდის თავდაპირველ ვარიანტს. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ შემადგენლობის გადახალისებამდე „ელმავალმა“ მხოლოდ 14 ლელო გაიტანა, გადახალისების შემდეგ კი — 32.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის მეორე ნახევარში რკინიგზელები აღარავის უდებდნენ ტოლს, მწვავედ, კომბინაციურად თამაშობდნენ. შეჯიბრების ულოგიკო დებულებაც, რომლის თანახმადაც მოგროვილი ქულების დიდი ნაწილი გუნდებს ფინიშზე უნდა ჩამორთმეოდათ, „ელმავალს“ კარგ პერსპექტივას უქადდა. მართლაც, „ავიატორთან“ სტუმრად ბრწყინვალედ მოგებული მატჩის შემდეგ თბილისელებს მეხუთე ადგილს ერთი ნაბიჯიღა აშორებდათ, მაგრამ „ელმავალმა“ დასკვნითი, ფრიად დრამატული თამაში შინ ერთი ქულით წააგო იმავე „ავიატორთან“ და მეშვიდე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ახლა რკინიგზელთა თამაშის ავ-კარგიც მიმოვიხილოთ. ჩემპიონატმა ნათელჰყო, რომ გუნდმა თითქმის დაიბრუნა თბილისური რეგბისთვის ოდითგან ნიშანდობლივი, მაგრამ 80-იან წლებში უარყოფილი, თამაშის ლაღი, სანახაობრივი სტილი, რომელიც ბურთის ხელით გათამაშებას ეფუძნება. ეს რკინიგზელთა გუნდის ხელმძღვანელობის ყველაზე თვალსაჩინო მიღწევაა. გუნდის დიდი ღირსებაა ჟინიანობა, ბრძოლის უნარიანობა, აღიარებული ავტორიტეტების ძლევის სურვილი, აგრეთვე, საფუძვლიანი ფიზიკური მომზადება, რაც ცნობილი სპეციალისტის — ლექსო ბურნაძის თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ერთი საგულისხმო მომენტიც: ახლა, როცა „ელმავალი“ ბურთს ფლობს, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის უთუოდ რასმე მოიმოქმედებს, მოხდენილად თამაშობს და მოედნის დიდ ნაწილს თამაშ-თამაშ გადასერავს. ესეც გუნდის მზარდი კლასის მაჩვენებელია.

ცხადია, მეშვიდე ადგილზე გასულ გუნდს ნაკლიც მრავლად ექნება. მათგან ძირითადი, ჩვენი აზრით, ფსიქოლოგიური არამდგრადობაა. მწვრთნელების მცდელობის მიუხედავად, სუსტ მეტოქესთან თამაშში „ელმავალს“ მობილიზაცია აკლია, ძლიერთან დაწინაურებულს კი საბოლოო წარმატებაში ეჭვი ეპარება და ანგარიშის შენარჩუნებაზეღა ფიქრობს. გამოუცდელობის გამო გუნდს აშკარად აკლია ანგარიშიანობა, უჭირს გადამწყვეტი მატჩების მოგება. „ელმავალი“ ჯერაც სუსტია აუტიდან მოწოდებული ბურთისათვის ბრძოლაში (მარტოოდენ ხუადესა და გია გიუნაშვილის ოსტატობა არ კმარა), ხოლო მოიერიშე მეტოქის შებოჭვის ტექნიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დროდადრო მორკინალებს უჭირთ მიწაზე დავარდნილი ბურთისათვის ბრძოლა, მოლებში თითქოს ძალას ზოგავენ, ზოგ მატჩში კი უეცრად მოეშლებათ ხოლმე მოიერიშე თანაგუნდელის მხარდაჭერის მექანიზმი. ლეჟავას წასვლის შემდეგ საამედო დამრტყმელი ჯერაც მოსაძებნია. გუნდის ფრიად მნიშვნელოვანი ნაკლია აგრეთვე ის, რომ თამაშის დროს თითქმის ყველა მოთამაშე გაუთავებლად ლაპარაკობს და თანაგუნდელს უადგილო შენიშვნებს აძლევს.

ჩემპიონატში თბილისელი რეგბისტებიდან არა ერთმა და ორმა გამოიჩინა თავი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მთელი სეზონის მანძილზე ჰუქერ დათო კაკაბაძისა და შუამარბ თენგიზ თავაძის ძლიერი თამაში. თუ კაკაბაძისაგან სხვაგვარ თამაშს არც ველოდით, თავაძის ბაგალითმა ცხადყო, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ნიჭიერი და ტექნიკური რეგბისტის კარგად გაწვრთნასა და მოღონიერებას. წელს მეტოქეებს რისხვად მოევლინა მარჯვენა გარემარბი ალეკო ხვედელიძე. შემთხვევითი როდია, რომ მან ყველაზე მეტი — რვა ლელო გაიტანა. შერკინების შემკვრელი გია გიუნაშვილი შუა სეზონში კარგად ათამაშდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მსოფლიო უნივერსიადაზე წაყვანილი მოედანზე ერთხელაც არ გაიყვანეს, კალაპოტიდან ამოვარდა. გუნდის წარმატება დიდად განაპირობა ახალი კაპიტნის — ზაზა ბაკურაძის ოსტატობამ. მალხაზ ჭეიშვილმა, ნუგზარ გაბრიჩიძემ, გია მეტრეველმა მთელი სეზონი, შესაძლოა, ისე ვერ განვლეს, როგორც ეკადრებოდათ, მაგრამ ვეტერან გაიოზ მონიავასთან ერთად, ისინი კვლავაც გუნდის ბირთვს ჰქმნიან. შთამბეჭდავად ითამაშა ახალმა გარე ნახევარმცველმა დათო ჩავლეიშვილმა; ვალერი მანთიძემ და ემზარ გეგუჩაძემ, რომელთაც შუა ჩემპიონატში მხრებზე დააწვათ „გამოხშირულ“ უკანა ხაზში თამაშის მთელი სიმძიმე, გულშემატკივართა უნდობლობის მიუხედავად, პირნათლად გაართვეს თავი ამოცანას. სულ სეზონში რკინიგზელთა კლუბის ღირსება 34 მოთამაშემ დაიცვა. მათი წვლილის შესაფასებლად გავეცნოთ შემდეგ ნუსხას:

უკანა ხაზის მოთამაშეები (15 კაცი; გაიტანეს 29 ლელო, გუნდს შესძინეს 307 ქულა): ი. ლეჟავა (ითამაშა 14 მატჩში; გაიტანა 2 ლელო, გუნდს შესძინა 121 ქულა), ა. ხვედელიძე (27; 8, 35), ლ. ჩიქვინიძე (14; 2, 11), თ. შერაზადიშვილი (7), გ. მეტრეველი (22; 2), მ. ჭეიშვილი (25; 0, 6), ნ. გაბრიჩიძე (19; 1), კ. კლდიაშვილი (1), ი. ქერაული (11), გ. ძაგანელი (2; 0, 2), თ. თავაძე (25; 2, 14), ე. გეგუჩაძე (21; 2, 14), ვ. მანთიძე (17; 5), დ. ჩავლეიშვილი (16; 4, 62), ვ. საცერაძე (8; 1, 10).

მორკინალები (19; 17, 68): კ. გიუნაშვილი (21; 2), ნ. წიკლაური (7), ზ. ბაკურაძე (26; 2), თ. ხუადე (25), ხ. კაშია (18), გ. გიუნაშვილი (27; 4), დ. ღუდუშაური (15; 1), გ. მონიავა (24), ჯ. ბასილაშვილი (22; 1), დ. კაკაბაძე (26), თ. ნარიმანიძე (12), ბ. მექვაბიშვილი (13; 1), დ. შუბითიძე (14), დ. გიორგაძე (18; 2), ლ. მჭედლიძე (4), რ. ჯაფარაშვილი (16; 3), ზ. ძიძაძე (7; 1), გ. ყუფარაძე (6), ვ. გიორგობიანი (1).

ბოლოს, ფრიად მტკივნეული საორგანიზაციო პრობლემების შესახებაც. უთუოდ გუნდის ხელმძღვანელობის გერგილიანობის შედეგია, „ელმავლისთვის“ თავიანთი სახსრებით რომ შეაკერინეს საასპარეზო ფორმის ორი მშვენიერი კომპლექტი, დაამზადებინეს მორკინალთა საწვრთნელი მგორავი დაზგა. მაგრამ „ელმავალს“ ჯერაც აკლია ხარისხიანი ბუცები და ბურთები; თუმცა გუნდი თამაშობს საკავშირო მასშტაბით რეგბის საუკეთესო სტადიონზე, მას აღარ გააჩნია საკუთარი საწვრთნელი ბაზა. უფრო სწორად, ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვის შემდეგ, გუნდი მაინც სარგებლობს „ლოკომოტივის“ დიღმის ბაზის მოედნით, სასადილოთი და გასახდელით, მაგრამ საცხოვრებელი კორპუსი მისთვის კვლავაც შეუვალია. იმედია, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა, პროფკავშირული სპორტსაზოგადოებისა და საქართველოს სპორტსახკომის სათანადო სამსახურებთან ერთად, ახლა მაინც გადასწყეტს სადავო ბაზის საკითხს. მორიგი, XXVI ჩემპიონატი ხომ მარტის დამლევს დაიწყება, ქართველ რეგბისტებს კი წლევანდელივით მიუსაფრად ყოფნა აღარ სურთ და აღარც ეკადრებათ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲑᲐᲖᲐᲜᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲛᲣᲓᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ

ᲐᲠᲘᲡ

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომი ქ. ზესტაფონში ბიბილაშვილის ქ. №2-ში და ენგელსის ქ. №7-ში მცხოვრებთა კოლექტიური წერილის პასუხად, რომლებიც მოითხოვდნენ თავიანთ ეზოებში სპორტული მოედნების მოწყობას, გაცნობებთ შემდეგს:

უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ქ. ზესტაფონში აშენდა 20-მდე მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი, მათ შორის ზემოაღნიშნულ უბანში — 5.

შესაძლებლობა და აუცილებლობა არ არის ყველა სახლის ეზოში აშენდეს ასეთი კომპლექსები. ამას ემატება ისიც, რომ აღნიშნული სახლების ეზოები გამოთავისუფლებული არ არის კერძო მობინადრეთა, ე. ი. განცხადების ავტორების მშობელთა მიერ ეზოებში უნებართვოდ დადგმული ავტოსადგომებისაგან. აგრეთვე ამ სახლების გვერდით მომავალი წლიდან შენდება 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი და იქ ამ ეტაპზე კომპლექსის მშენებლობა მიზანშეუწონელია.

განცხადების ავტორებს ჩვენს მიერ პასუხი ეცნობა.

ჯ. ბორბოძე,
საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

„ᲡᲐᲓ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ?“

რუბრიკით „საგანგაშო ფაქტი“ ჩვენს გაზეთში 17 ნოემბერს გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი („სად იყვნენ მოსწავლეები გაკვეთილის დროს?“).

გუშინ მივიღეთ პასუხი სკოლის დირექციისაგან. გთავაზობთ მას მთლიანად:

ᲑᲐᲖᲔᲗ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ!

თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დირექცია 17 ნოემბერს ფიზკულტურის გაკვეთილზე მომხდარი შემთხვევის შესახებ გამოქვეყნებული წერილის თაობაზე გაცნობებთ, რომ წერილში მოტანილი ფაქტები 18 ნოემბერს მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

სკოლის დირექტორმა გ. ჯმუხაძემ, დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო აღმზრდელობით დარგში ვ. ნოდიამ და ც. წერეთელმა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორმა მ. ბიბილაშვილმა, კლასის ხელმძღვანელმა მ. სეფაშვილმა, ფიზკულტურის მასწავლებლებმა გ. ბურჯანაძემ და თ. საყევარაშვილმა, ქართული ენის მასწავლებლებმა ნ. ბოცვაძემ და რ. ბიჭაშვილმა და სხვებმა თვითკრიტიკულად შეაფასეს სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილზე მომხდარი ფაქტის საგანგაშო მნიშვნელობა და განაცხადეს, რომ მასში მეტნაკლებად ყველას მიუძღვის ბრალი.

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე საყვედური გამოეცხადა ფიზკულტურის მასწავლებელს და კლასის ხელმძღვანელს — სადამრიგებლო კლასში სუსტი აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

მომავალში სკოლის დირექცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდეს.

ბ. ჯმუხაძე,
თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

„მეტალისტი“ (ხარკოვი)— „დინამო“ (თბილისი) 2:0 (1:0)

ხარკოვი. „მეტალისტის“ სტადიონი. 19 ნოემბერი.

„მეტალისტი“: კუტეპოვი, დერკაჩი, რომანჩუკი, პანჩიშინი, სუსლო, ივანოვი (ენი), ბარანოვი, ვაშჩენკო (ბონდარი), იაკუბოვსკი, აჯოევი, ტარასოვი.

„დინამო“: გაბელია, თეთრაძე, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი (ქეცბაია), სვანაძე (აფციაური), თ[illegible]ევი, ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ო. ჩინენოვი (მოსკოვი)

დუბლიორები — 2:0.

51-ე საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩი თბილისის „დინამოს“ ხარკოვში ჰქონდა „მეტალისტთან“. დასკვნითი ტურის წინ ორივე გუნდი გათამაშების ცხრილში მეზობლად იმყოფებოდა, წარმატების შემთხვევაში დინამოელები მკვეთრად იუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში კი ისინი 24 ქულას აგროვებდნენ და წინ უსწრებდნენ ხარკოველებს, ვინაიდან „მეტალისტმა“ წინა ტურში უკვე ამოწურა ფრეთა ლიმიტი.

ისევე, როგორც წინა ტურში კიეველ თანაკლუბელებთან, თამაში ძძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. თუ კიევში სათამაშო მინდვრის დიდი ნაწილი დათოვლილი იყო, ხარკოვში მეტოქეებს ყინულით დაფარულ საფარზე მოუწიათ თამაშმა. მასპინძლებმა თავიდანვე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს გაბელიას კართან. მე-12 წუთზე „მეტალისტის“ მცველის დერკაჩის გადაცემით სუსლომ გახსნა ანგარიში — 1:0, ხარკოველთა შეტევები არც შემდეგ შენელებულა. გაბელიას და დინამოელთა მცველებს მთელი დატვირთვით მოუწდათ ბრძოლა „მეტალისტის“ შეტევების მოსაგერიებლად, თბილისელთა კარი ორჯერ ძელმაც იხსნა.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში, ბრძოლამ შუა მინდორზე გადაინაცვლა, ორივე გუნდი კონტრშეტევებით ცდილობდა უპირატესობის მიღწევას. ერთერთ მომენტში, გოგიჩაიშვილი პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი მიზანს ასცდა.

მე-80 წუთზე ხარკოველთა კონტრშეტევამ მიზანს მიაღწია. დინამოელთა მცველების შეუთანხმებლობით კარგად ისარგებლა იაკუბოვსკიმ და ძლიერი დარტყმით ანგარიში გაზარდა 2:0-მდე.

ბოლო ტურში ინტერესს იწვევდა საპრიზო ადგილებზე მებრძოლი გუნდების შეხვედრები. კიევის დინამოელებმა თავიანთ სტადიონზე ძნელ ბრძოლაში დაამარცხეს ბაქოს „ნეფთჩი“ — 2:1 და ვერცხლის მედლებს დაეპატრონენ. მოსკოვის ტორპედოელებმა გაიმარჯვეს „არარატთან“ შეხვედრაში — 2:0 და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ.

გათამაშების საგოლოო ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	30	18	10	2	49-23	46
2. „დინამო“ (კიევი)	30	17	9	4	43-19	43
3. „ტორპედო“ (მოსკოვი)	30	17	8	5	39-23	42
4. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	30	14	11	5	40-26	39
5. „უალგირისი“ (ვილნიუსი)	30	14	7	9	39-35	35
6. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	30	11	9	10	35-34	31
7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	30	10	12	8	35-29	30
8. „შახტიორი“ (დონეცკი)	30	9	10	11	30-28	28
9. „არარატი“ (ერევანი)	30	9	9	12	21-28	27
10. „დინამო“ (მოსკოვი)	30	9	8	13	32-38	26
11. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	30	8	10	12	29-36	26
12. „დინამო“ (მინსკი)	30	7	11	12	29-34	25
13. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	30	9	6	15	24-37	24
14. „დინამო“ (თბილისი)	30	9	5	16	28-37	23
15. „ნეფთჩი“ (ბაქო)	30	5	7	18	28-46	17
16. „კაირატი“ (ალმა-ათა)	30	6	4	20	25-53	16

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

ევროპა, V ჯგუფი

განვლილ შაბათს ბელგრადში შედგა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იუგოსლავიისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. მატჩი თავისთავად დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ საყურადღებო ამჯერად ისიც იყო, რომ საფრანგეთის ნაკრები მინდორზე პირველად გამოიყვანა ახალმა მწვრთნელმა, წარსულში განთქმულმა ფეხბურთელმა მ. პლატინიმ. მაგრამ, ეტყობა, ფრანგები ჯერ კიდევ კრიზისის პერიოდში იმყოფებიან, ისინი ამ მატჩში ორჯერ იყვნენ დაწინაურებული, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 2:3. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს სპასიჩმა, სუსიჩმა და სავისევიჩმა, ხოლო დამარცხებულთაგან — ტერეზიმ და სოუზიმ.

გათამაშების ცხრილი:

	თ	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	2	1	1	0	4-3	3
შოტლანდია	2	1	1	0	3-2	3
საფრანგეთი	3	1	1	1	4-4	3
ნორვეგია	3	1	0	2	4-3	2
კიპროსი	2	0	1	1	1-4	1

ფეხბურთი ადამიანებთან რჩება

ამგვარი საფეხბურთო მატჩი ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონზე მანამდე არ გამართულა: ფეხბურთელები მინდორზე გამოვიდნენ ყავარჯნებით, მათ ტანზე ზოლებიანი მაისურები ეცვათ, სწორედ იმგვარი, როგორი ფორმითაც ისინი ავღანეთის ქვიან გზებზე დაატარებდნენ ტანკებს...

ცნობილმა პროფესიონალმა ამერიკელმა ფეხბურთელმა „სიეტლ საუნდერსის“ მენეჯერმა ბილი ბარომ რადიოთი ყური მოჰკრა, რომ ჯარში ნამყოფ ინვალიდებს სურვილი აქვთ ფეხბურთი ითამაშონ. ბ. ბარი მაშინვე შეუდგა საქმეს, შემოიკრიბა ათასობით ინვალიდი, რომლებსაც ფეხბურთის თამაში სურდათ, შეიმუშავა შესაბამისი წესები — 4 ტაიმი თითოეული 15 წუთის ხანგრძლივობით, შეიმუშავეს მსუბუქი, საიმედო, მოსახერხებელი ყავარჯნების ნიმუშები. ლოს-ანჯელესის „ქირმა ბარიანმა“ ამგვარი ყავარჯნებით [illegible] ამზადა.

მალე შესაძლებელი შეიქმნა საერთაშორისო ტურნირის მოწყობა, ინიციატორები და ენთუზიასტებიც მრავლად გამოჩნდნენ და ინვალიდ ფეხბურთელთა პირველი ტურნირი ქალაქ სიეტლში გაიმართა.

ტაშკენტი სიეტლის ძმადნაფიცი ქალაქია, ამიტომაც უზბეკეთის დედაქალაქში მიიწვიეს ინვალიდთა ფეხბურთის პიონერები, პირველი, ვინც ყავარჯნებით გამოვიდა მინდორზე და „ფახთაქორის“ მწვანე მინდორზე ბურთი აამოძრავა, ჰუსან ზუფაროვი იყო.

ინვალიდთა ფეხბურთი — ეს უტოპია არაა. ფეხბურთი მუდამ ადამიანებთან რჩება. (საკვლევი).

გაიმარჯვა „დნეპრმა“

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ გამარჯვებით აღინიშნა მარტ[illegible] გამართული ტურნირი, რომ[illegible] ამ ქვეყნის [illegible] სანიშნავად გაიმართა ქალაქ რაპატში „დნეპრის“ ფეხბურთელებმა ფინალურ შეხვედრაში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ამავე ქალაქის **გუნდი.**

ასპარეზობენ მოზარდები

გორში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა 1988 წლის საშემოდგომო შესარჩევი პირველობა ფეხბურთში.

ეს ასპარეზობა მიზნად ისახავს მოსწავლეთა შორის ფეხბურთის შემდგომ პოპულარიზაციას, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში კანდიდატების შერჩევას. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1975-76 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდები; აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, თბილისისა და გორის კოლექტივები.

სურათზე: პირველობაში გამარჯვებული თბილისის ნაკრები გუნდი.

გია ახალაძის ფოტო.

თბილისის ნაკრები ამ ასპარეზობაში 35-ე სპეციალიზებული და „ავაზას“ საფეხბურთო სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული.

კარგად ჩაატარეს მთელი შეჯიბრება თბილისისა და აფხაზეთის ნაკრებმა გუნდებმა, რომლებმაც 8-8 ქულა დააგროვეს. ერთმანეთში ჩატარებულ შეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლით პირველი ადგილი თბილისის გუნდს მიენიჭა.

თბილისის ნაკრები ამ ასპარეზობისთვის მწვრთნელებმა ო. შენგელაიამ და ნ. ლეჟავამ მოამზადეს.

საბჭოთა ნაკრები უცხოეთში

დამთავრდა სსრ კავშირის 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი, რის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ნაკრები ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა უცხოეთს.

გუშინ ჩვენმა ფეხბურთელებმა სირიაში საერთაშორისო მატჩი გამართეს იქაურ ნაკრებთან, 23 და 27 ნოემბერს კი კუვეიტში ითამაშებენ ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდთან.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იმყოფებიან კიევის დინამოელები ვ. ჩანოვი, ო. კუზნეცოვი, ა. დემიანენკო, გ. ლიტოვჩენკო, ა. მიხაილიჩენკო, ვ. რაცი, ო. პროტასოვი, ი. ბელანოვი, მოსკოვის დინამოელები — დ. ხარინი და ნ. დობროვოლსკი, მინსკის დინამოელები — ა. ზიგმანტოვიჩი და ს. ალეინიკოვი, მოსკოვის ტორპედოელები — ი. და ნ. სავიჩევები, მოსკოვის ლოკომოტიველი — ს. გორლუკოვიჩი და ვ. ივანაუსკასი ვილნიუსის „ჟალგირისიდან“. ნაკრების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია, ამ ტურნეში არ მონაწილეობს მოსკოვის „სპარტაკის“ არც ერთი ფეხბურთელი. „სპარტაკი“ 26 ნოემბერს ესპანეთში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გაბართავს „სევილიასთან“.

სსრ კავშირის ნაკრებს ხელმძღვანელობენ მწვრთნელები ვ. ლობანოვსკი, ნ. სიმონიანი, ი. მოროზოვი და ს. მოსიაგინი.

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

ავსტრია

მე-19 ტური. „რაპიდი“ — „კლაგენფურტი“ 3:1, „ტიროლი“ — „ვიენა“ 2:0, „ვინერ სკ“ — „გრაცერი“ 0:0, „შტურმი“ — „ადმირა“ 1:5, „სენტ პოლტენი“ — „ლასკი“ 1:1, „შტეირი“ — „აუსტრია“ 2:1.

„ტიროლი“	19	41-21	27
„ადმირა“	19	36-21	27
„აუსტრია“	19	45-26	25

იტალია

მე-5 ტური. „ტორინო“ — „ჩეზენა“ 2:0, „ბოლონია“ — „იუვენტუსი“ 3:4, „ვერონა“ — „მილანი“ 1:2, „ინტერი“ — „სამპდორია“ 1:0, „ნაპოლი“ — „ლაციო“ 1:1, „ასკოლი“ — „პესკარა“ 0:1, „რომა“ — „პიზა“ 2:1, „ფიორენტინა“ — „ატალანტა“ 1:1, „კომო“— „ლეჩე“ 2:1.

„ინტერი“	5	9-3	9
„მილანი“	5	9-2	8
„ნაპოლი“	5	11-4	7

საფრანგეთი

მე-19 ტური. „ოსერი“ — „მარსელი“ 1:0, „კაენი“ — „ბორდო“ 3:0, „კანი“ — „ნანტი“ 1:2, „ლილი“ — „რენინგი“ 3:0, „ტულუზა“ — „სტრასბურგი“ 4:0, „მონაკო“ — „მეცი“ 1:1, „მონპელიე“ — „სენტ ეტიენი“ 2:0, „სენ ჟერმენი“ — „ლანი“ 1:0, „ტულონი“ — „ლავალი“ 0:0.

„სენ ჟერმენი“	19	28-14	40
„ოსერი“	19	28-16	39
„მარსელი“	19	27-19	34

ჰოლანდია

მე-13 ტური. „ფეიენოორდი“ — „აიაქსი“ 1:2, „გრონინგენი“ — „ტვენტე“ 2:0, „ვოლენდამი“ — „ვეენდამი“ 3:1, „ვენლო“ — „ტილბურგი“ 1:1, „უტრეჰტი“ — „სპარტა“ 2:2. „ჰარლემი“ — „როდა“ 1:0, „დენ ბოში“ — „სიტარდი“ 0:3, „ეინდჰოვენი“ — „ვალვიკი“ 5:2, „მასტრიჰტი“ — „ცვოლე“ 4:2.

„ეინდჰოვენი“	14	33-13	23
„ვილენდამი“	12	26-15	17
„სიტარდი“	13	22-14	17

ინგლისი

მე-12 ტური. „ჩარლტონი“ — „ევერტონი“ 1:2, „ქოვენთრი“ — „ლუტონი“ 1:0, „დერბი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 2:2, „ლივერპული“ — „მილუოლი“ 1:1, „მიდლსბრო“ — „ქუინს პარკი“ 1:0, „ნიუკასლი“ — „არსენალი“ 0:1, „ნორვიჩი“ — „შეფილდი“ 1:1, „საუთჰემპტონი“ — „ასტონ ვილა“ 3:1, „ტოტენჰემი“ — „უიმბლდონი“ 3:2, „ვესთ ჰემი“ — „ნოტინგემი“ 3:3.

„ნორვიჩი“	12	21-12	27
„არსენალი“	11	27-14	23
„საუთჰემპტონი“	12	20-15	21

გფრ

მე-14 ტური. „ლევერკუზენი“ — „კარლსრუე“ 1:0, „ჰამბურგი“ — „მანჰეიმი“ 5:1, „შტუტგარტ კიკერსი“ — „სენტ პაული“ 2:2, „ვერდერი“ — „ბოჰუმი“ 2:0, „კაიზერსლაუტერნი“ — „შტუტგარტი“ 5:1, „ბაიერნი“ — „კიოლნი“ 2:0, „ჰანოვერი“ — „იუერდინგენი“ 0:5, „დორტმუნდი“ — „ნიურნბერგი“ 4:0, „მიონჰენგლადბახი“ — „ფრანკფურტი“ 2:1.

„ბაიერნი“	13	26-7	20
„შტუტგარტი“	13	24-15	17
„ჰამბურგი“	14	26-17	17

გდრ

მე-11 ტური. „ლოკომოტივი“ (ლაიპციგი)— „კარლ-მარქს-შტადტი“ 1:0, „ენერგია“ (კოტბუსი) — „დინამო“ (ბერლინი) 0:2, „კარლ-ცეისი“ — „ზაქსენრინგი“ (ცვიკაუ) 2:0, „ჰემი“ (ჰალე) — „დინამო“ (დრეზდენი) 1:3, „ვისმუტი“ აუე — „მაგდებურგი“ 1:0, „უნიონი“ (ბერლინი) — „ერფურტი“ 1:0, „ჰანზა“ (როსტოკი)—„შტალი“ (ბრანდენბურგი) 1:0.

„დინამო“ (დრეზდენი)	11	20
„დინამო“ (ბერლინი)	11	14
„ჰანზა“ (როსტოკი)	11	14

რუმინეთი

მე-12 ტური. „ჰუნედოარა“ — „დინამო“ 1:2, „სტიაუა“ — „კლუჟი“ 5:0, „მორენი“ — „ორადეა“ 5:0, „ვიქტორია“ — „სიბიუ“ 5:3, „ტირგუ მურეში“ — „ოლტი“ 3:0, „გალატი“ — „რაპიდი“ 2:0, „კონსტანცა“ — „სპორტული“ 3:0, „ბაკაუ“ — „პიტეშტი“ 3:1, „ბრაშოვი“ — „კრაიოვა“ 2:2.

„დინამო“	12	24
„სტიაუა“	12	24
„ვიქტორია“	12	17

ბულგარეთი

მე-12 ტური. „ლოკომოტივი“ (სოფია) — „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) 2:0, „ორეხოვიცა“ — „სრედეცი“ 0:3, „სტარა ზაგორა“ — „რუსე“ 2:1, „სლივენი“ — „ვრაკა“ 3:0, „ვიტოშა“ — „ველიკო ტირნოვო“ 4:3, „თრაკია“ — „სლავია“ 2:0, „ჩერნო მორე“ — „პერნიკი“ 2:0, „პირინი“ — „სპარტაკი“ (ვარნა) 0:0.

„სრედეცი“	12	20
„თრაკია“	12	16
„ჩერნო მორე“	12	15

შოტლანდია

მე-15 ტური. „აბერდინი“ —„დანდი იუნაიტედი“ 1:1, „სელტიკი“ — „რეინჯერსი“ 3:1, „დანდი“ — „სენტ მირენი“ 0:1, „ჰარტსი“ — „ჰიბერნიანხი“ 1:2, „მოზერეული“ — „ჰამილტონი“ 1:1.

„რეინჯერსი“	15	22
„აბერდინი“	15	19
„დანდი იუნაიტედი“	15	18

(სპ. ინფ.)

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 39-ე ტურის შეხვედრები: „სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:2, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1, „ივერია“ (ხაშური) — „სქურა“ (წალენჯიხა) 2:2, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო“ (გაგრა) 1:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:3, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 3:2, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მაღაროელი“ (ქიათურა) 2:2.

სალონიკის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა

ლიდერობა დაიბრუნეს

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე შეუპოვარი ბრძოლაა გაჩაღებული საბჭოთა და უნგრელ მოჭადრაკე ქალთა გუნდებს შორის. როგორც იცით, ჰირად შეხვედრაში უნგრეთის ნაკრებს ჰქონდა უპირატესობა. მაია ჩიბურდანიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ეუჟა პოლგართან, მარტა ლიტინსკაია დამარცხდა ილდიკო მადლთან. ირინა ლევიტინას კი იუდიტ პოლგართან გადადებულ პარტიაში დიდი ბრძოლა დასჭირდებოდა ყაიმის მისაღწევად. და მართლაც, საბჭოთა დიდოსტატმა შეუპოვარი ბრძოლით შეძლო ნახევარი ქულის აღება და ამდენად ეს მატჩი დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით — 2:1.

ეტყობა, ამ ორთაბრძოლამ ძალიან გადაღალა უნგრელი გოგონები (ვიღაცამ იხუმრა, დები პოლგარებითა და ილდიკო მადლით დაკომპლექტებულ გუნდს თავისუფლად შეუძლია მოსწავლეთა პირველობაში მონაწილეობაო. და მართლაც, თქვენ კარგად იცით, ეუჟა პოლგარი და ილდიკო მადლი ცხრამეტ-ცხრამეტი წლისანი არიან, სოფია პოლგარი — თოთხმეტის, იუდიტ პოლგარი — თორმეტის) და თუმცა VI ტურში მათ იოლად სძლიეს კუბის სუსტ გუნდს (3:0), შემდეგ, VII ტურში, უკვე გაუჭირდათ იუგოსლავიის ძლიერ ნაკრებთან ბრძოლა. გუნდის ლიდერმა, უფროსმა პოლგარმა და მისმა შუათანა დამ სოფიამ ნახევარ-ნახევარი ქულა შესძინეს გუნდის აქტივს, მადლმა დათმო ორთაბრძოლა.

უშუალო კონკურენტის ამ შეფერხებით ისარგებლა საბჭოთა ნაკრებმა და დაწინაურდა. მან VI და VII ტურებში ერთნაირი ანგარიშით — 3:0 — დაამარცხა ჩინეთისა და დასავლეთ გერმანიის გუნდები. VII ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ინგლისი — პოლონეთი 0:3, ჩინეთი — აშშ 1,5:1,5, კუბა — შვეიცია 1,5:1,5, შვეიცარია — ჰოლანდია 0,5:2,5, დანია — ბულგარეთი 0,5:2,5. ამრიგად, შვიდი ტურის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს 18 ქულა აქვს (21-დან), უნგრეთის გუნდს 16,5, იუგოსლავიას — 15, პოლონეთს — 14,5, ჩეხოსლოვაკიას — 13,5, ბულგარეთს, ინდოეთს, ჰოლანდიასა და ჩინეთს — 13-13.

VI ტურში დიდ ინტერესს იწვევდა საბჭოთა და ინგლისელი ვაჟების შეხვედრა. დიდი ბრიტანეთის გუნდი ხომ ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. იგი წინა ოლიმპიადაზე დუბაიში, მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა საბჭოთა ნაკრებს და ვერცხლის მედლები მოიპოვა. მაგრამ ახლა, მოულოდნელად, საბჭოთა დიდოსტატებმა საკმაოდ იოლად მოუგეს მატჩი მეტოქეს — 3:1.

VII ტურში სენსაციური ანგარიშით დამთავრდა საბჭოთა და შვედი მოჭადრაკე ვაჟების შეხვედრა — 2:2.

VII ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: გდრ — აშშ 2:2, ისლანდია — კუბა 1:2 (1), იუგოსლავია — ბულგარეთი 2:0 (2), ჰოლანდია — ჩინეთი 2,5:1,5, ინდონეზია — უნგრეთი 1:3, პოლონეთი — გფრ 0:4, რუმინეთი — ფინეთი 3,5:0,5, მექსიკა — საფრანგეთი 1:3. ამრიგად, შვიდი ტურის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს 22 ქულა აქვს (28-დან). შემდეგ მოდიან: შვეიცია — 19,5, იუგოსლავიის — 18,5 (2), უნგრეთის, ჰოლანდიის, გდრ-ის, გფრ-ის — 18,5-18,5, კუბის — 18 (1), ჩინეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ფილიპინებისა და აშშ-ის — 18-18 — გუნდები.

ახლა მოგვეცა საშუალება გაგაცნოთ, რა შემადგენლობით ითამაშეს ჩვენმა გუნდებმა თითოეულ მატჩში.

მაშ ასე, **ქალები — I ტური:** სსრ კავშირი — ნორვეგია 2,5:0,5 (ახმილოვსკაია — 1, ლევიტინა — 0,5, ლიტინსკაია — 1); **II ტური:** სსრ კავშირი — ბულგარეთი 3:0 (ახმილოვსკაია — ვოისკა 1:0, ლევიტინა — ანგელოვა 1:0, ლიტინსკაია — დეიჩევა 1:0); **III ტური:** სსრ კავშირი — იუგოსლავია 3:0 (ჩიბურდანიძე — მარიჩი 1:0, ახმილოვსკაია — მარკოვიჩი 1:0, ლევიტინა — მაქსიმოვიჩი 1:0); **IV ტური:** სსრ კავშირი — რუმინეთი 2,5:0,5 (ჩიბურდანიძე — მურეშანი 0,5:0,5, ახმილოვსკაია — სტანჩუ 1:0, ლიტინსკაია — 1); **V ტური:** სსრ კავშირი — უნგრეთი — 1:2 (ჩიბურდანიძე — ჟ. პოლგარი 0,5:0,5, ლევიტინა — ი. პოლგარი 0,5:0,5, ლიტინსკაია — მადლი 0:1); **VI ტური:** სსრ კავშირი — ჩინეთი 3:0 (ჩიბურდანიძე — 1, ახმილოვსკაია — 1. ლიტინსკაია — 1); **VII ტური:** სსრ კავშირი — გფრ 3:0 (ჩიბურდანიძე — ჰუნდი 1:0, ახმილოვსკაია — ფიშდიკი 1:0, ლევიტინა — 1).

ვაჟები — I ტური: სსრ კავშირი — სირია 3,5:0,5 (იუსუპოვი — ბეიტარი 1:0, ბელიავსკი — 1, ელვესტი — 0,5, იანჩუკი — 1); **II ტური:** სსრ კავშირი — ფილიპინები 3:1 (კასპაროვი — ტორე 1:0, კარპოვი — მასკარინასი 0,5:0,5, იუსუპოვი — როდრიგესი 1:0, ივანჩუკი — ანტონიო 0,5:0,5); **III ტური:** სსრ კავშირი — არგენტინა 4:0 (კასპაროვი — კამპორა 1:0, კარპოვი — პანო 1:0, ბელიავსკი — ბარბერო 1:0, ელვესტი — რუბინეტი 1:0); **IV ტური:** სსრ კავშირი — რუმინეთი 3,5:0,5 (კასპაროვი — გეორგიუ 1:0, იუსუპოვი — 0,5, ბელიავსკი — 1, ივანჩუკი — 1); **V ტური:** სსრ კავშირი — ისლანდია 3:1 (კასპაროვი — ჰიარტარსონი 0,5:0,5, იუსუპოვი — არნანსონი 0,5:0,5, ელვესტი — პეტურსონი 1:0, ივანჩუკი — ოლაფსონი 1:0); **VI ტური:** სსრ კავშირი — ინგლისი 3:1 (კასპაროვი — შორტი 1:0, კარპოვი — სპიმენი 1:0, ელვესტი — ნანი 0,5:0,5, ივანჩუკი — მესტელი 0,5:0,5); **VII ტური:** სსრ კავშირი — შვეიცია 2:2 (კარპოვი — ანდერსონი 1:0, იუსუპოვი — 0,5, ბელიავსკი — 0,5, ელვესტი — ერნსტი 0:1).

ოლიმპიადის მატიანე

წყალში ხტომა

ქალები. ტრამპლინი

1. ლი ცზიანი (ჩინეთი) — 580,23 ქულა
2. კელი მაკორმიკი (აშშ) — 534,33
3. ირინა ლაშკო (სსრკ, სვერდლოვსკი) — 526.65
4. მარინა ბაბკოვა (სსრკ, მოსკოვი) — 506.43.

ვაჟები. ტრამპლინი

1. გრეგ ლუგანისი (აშშ) — 730,80
2. ტან ლიანდე (ჩინეთი) — 704,88
3. ლი დელიანი (ჩინეთი) — 655,28
4. ალგინ კილატი (გფრ) — 661,47
5. მარკ გრედშოუ (აშშ) — 642,99
6. ხორხე მონდრაგონი (მექსიკა) — 616,02.

კოშკური. ქალები

1. სიუ იან მეი (ჩინეთი) — 445,20
2. მიშელ მიტჩელი (აშშ) — 436,95
3. უენდი უილიამსი (აშშ) — 400,44
4. ანჯელა სტასიულევიჩი (სსრკ, მინსკი) — 386,22
5. ჩენ სიაოდანი (ჩინეთი) — 384,15
6. ელენა მიროშინა (სსრკ, მოსკოვი) — 381,93.

კოშკური. ვაჟები

1. გრეგ ლუგანისი (აშშ) — 638,61
2. სიუნ ნი (ჩინეთი) — 637,47
3. ხესუს მენა (მექსიკა) — 594,39
4. **გიორგი ჩოგოვაძე (სსრკ, თბილისი) — 585,96**
5. იან ხემპელი (გდრ) — 583,77
6. ლი კუნჩენი (ჩინეთი) — 543,81

გიორგი ჩოგოვაძის გარდა ამ ოლიმპიურ დისციპლინაში გამოდიოდა მოსკოველი ვლადიმერ ტიმოშინი, რომელსაც ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობა ერთ-ერთ საპრიზო ადგილს უგეგმავდა. ვლადიმერ ტიმოშინი მერვე ადგილზე გავიდა — 534,66. საბჭოთა გუნდმა ამ სახეობაში მოაგროვა 12 ქულა (არაოფიციალური ჩათვლა), სულ კი იგეგმებოდა 1 ოქროს, ერთი ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი.

თანამედროვე ხუთჭიდი

1. იანოშ მარტინეკი (უნგრეთი) — 5.404 ქულა
2. კარლო მასულო (იტალია) — 5.379
3. ვასტანგ იაგორაშვილი (სსრკ, თბილისი) — 5.367
4. ატილა მიჟერი (უნგრეთი) — 5.281
5. კრისტოფ რიჟე (საფრანგეთი) — 5.242
6. რიჩარდ ფელპსი (დიდი ბრიტანეთი) — 5.229.

საბჭოთა ნაკრებიდან მე-20 ადგილზე გავიდა ლენინგრადელი გერმან იუფეროვი — 5.007, ანატოლი ავდეევი (მოსკოვის ოლქი) კი 36-ე იყო — 4.840.

გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა:

1. უნგრეთი (იანოშ მარტინეკი, ატილა მიჟერი, ლასლო ფაბიანი) — 15.886 ქულა;

2. იტალია (კარლო მასულო, დანიელე მასალა, ჯანლუკა ტიბერტი) — 15.571;

3. დიდი ბრიტანეთი (რიჩარდ ფელპსი, დომინიკ მახონი, გრემ ბრუკხაუსი) — 15.276;

4. საფრანგეთი — 15.268;

5. სსრკ (ვასტანგ იაგორაშვილი, გერმან იუფეროვი, ანატოლი ავდეევი) — 15.214;

6. ჩეხოსლოვაკია — 15.043.

სინქრონული ცურვა
ერთეულთა შეჯიბრება

1. კაროლინ ვალდო (კანადა) — 200.150 ქულა
2. კრეის რუის-კონფორტო (აშშ) — 197.633
3. მიკაკო პოტანი (იაპონია) — 191.850
4. მიშელ არმანი (საფრანგეთი) — 190.100
5. კარინ ზინგერი (შვეიცარია) — 185.600
6. ნიკოლა შირნი (დიდი ბრიტანეთი) — 181,933
7. **ხრისტინა ფალასანიდი (სსრკ, თბილისი) — 180.650.**

წყვილთა შეჯიბრება

1. მიშელ კამერონი და კაროლინ ვალდო (კანადა) — 197,717
2. კარენ და სარა ჯოსეფსონები (აშშ)— 197,284
3. მიეკო ტონაკა და მიკაკა კოტანი (იაპონია) — 190,159
4. კარინ შულერი და ანნი კაპრონი (საფრანგეთი) — 184,792
5. ედიტ ბოსი და კარინ სინგერი (შვეიცარია) — 183,950
6. მარია ჩერნიაევა და ტატიანა ტიტოვა (სსრკ, მოსკოვი) — 182,667.

პირველი მარცხი ლას-ვეგასში

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს ატარებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთი გამარჯვების შემდეგ მეექვსე მატჩში მარცხი იწვნია. ეს შეხვედრა გიმართა ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში. ჩვენი კალათბურთელების მეტოქე ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდი გახლდათ.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა ა. საბონისს ამჯერად დასვენების საშუალება მისცეს. თამაში დაიწყო ამერიკელთა მძლავრი შეტევებით და უკვე მერვე წუთისთვის ისინი დაწინაურდნენ 21 ქულით (28:7). შემდგომში თამაში გათანაბრდა. ბრძოლის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი ანგარიში გახდა 77:82. მაგრამ ეს იყო ყველაფერი, რისი გაკეთებაც სტუმრებმა შეძლეს. გაიმარჯვა ლას-ვეგასის უნივერსიტეტის გუნდმა — 94:83.

ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: საბჭოთა გუნდში — შარუნას მარჩიულიონისი (26 ქულა) და ალექსანდრე ვოლკოვი (16), ამერიკელთა შორის — ანდერსონ ჰანტი (20) და სტეისი აგმონი (15).

„სპორტლოტო“

20 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 47-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 10 (წყალბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 20 (აეროსნობა), 43 (ტურიზმი), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 3 (ბობსლეი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 27 (მშვილდოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

„სპორტპროგნოზი“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 46-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 13-14 ნოემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.116.888 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვს (3) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (81) — 1.154 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.500) — 229 მანეთი.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ფეხბურთში ევროპული თასების ტურნირებში მონაწილე გუნდების თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.368.576 ვარიანტი. 13 და 12 შედეგი არავის გამოუცვნია. 11 შედეგის გამოცნობისთვის (16) მოგება 10.000 მანეთია.

46-ე ტირაჟისა და სპეციალური ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 5 დეკემბრიდან 1989 წლის 5 იანვრის ჩათვლით.

რეგბის ევროპის ჯამპიონატი

ვიატურაში მოგვწყო საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადასვლის პრეტენდენტ გუნდების შეჯიბრება. ოთხი გუნდის ერთწრიანი ტურნირის მატჩები ასე დამთავრდა: ასკ „ავიატორი“ (თბილისი)— — „სამთოელი“ (ჭიათურა) 9:7, „ვაირასი“ (შიაულიაი) — „სიბტიაჟმაში“ (კრასნოიარსკი) 40:6; ასკ „ავიატორი“ — „ვაირასი“ 9:9, „სიბტიაჟმაში“ — „სამთოელი“ 20:7, „სამთოელი“ — „ვაირასი“ 6:0, „სიბტიაჟმაში“ — ასკ „ავიატორი“ 16:6. საბოლოოდ 7 ქულით პირველ ადგილზე გავიდა „სიბტიაჟმაში“, მეორეზე — „ვაირასი“ (6 ქულა), მესამეზე — ასკ „ავიატორი“ (6 ქულა), მეოთხეზე — „სამთოელი“ (5 ქულა). ამრიგად, ლიტველმა რეგბისტებმა შეინარჩუნეს პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება, ციმბირელთა ახალმა გუნდმა და თბილისელ არმიელთა კოლექტივმა (მწვრთნელი გურამ მოდებაძე) კი ლიგაში მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი და ნალჩიკის „უნივერსიტეტი“ შეცვალეს.

დიდ ბრიტანეთში სტუმრად მყოფმა ავსტრალიის ნაკრებმა მორიგი ორი მატჩი გამართა. სტუმრებმა ჯერ დანდიში სძლიეს ჩრდილოეთ და შუა შოტლანდიის ნაკრებს — 37:17 (13:13), გასულ შაბათს კი ედინბურგის გარეუბან მერფილდში შოტლანდიის ეროვნულ გუნდს ეთამაშნენ. ავსტრალიელებმა, რომლებმაც ინგლისის ნაკრებისაგან ნაწვნევი მარცხის შემდეგ შემადგენლობაში ხუთი მოთამაშე შეცვალეს, ამჯერად აშკარად აჯობეს მასპინძლებს; ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ, შოტლანდიელთა ორ ლელოს ხუთით უპასუხეს და გაიმარჯვეს — 32:13 (15:3). განსაკუთრებით ისახელა თავი სტუმართა მარცხენა გარემარბმა დევიდ ქემფიზიმ. მან ორივე ტაიმის დასაწყისში თითო ლელო გაიტანა და შედეგიანობის ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა: ახლა ქემფიზის ანგარიშზე ნაკრებში ნათამაშევ 41 მატჩში გატანილი 29 ლელო ირიცხება.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 24 ნოემბერს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. სამეცნიერო-ორგანიზაციული და საინფორმაციო-მეთოდური განყოფილება — უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 1

2. სპორტული მომზადების სამეცნიერო უზრუნველყოფის განყოფილება — უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 2

3. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგიის განყოფილება — უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 2

4. ფუნქციური მდგომარეობის გამოკვლევის ლაბორატორია — უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 1

5. გამოთვლითი ტექნიკის განყოფილება — განყოფილების გამგე — 1

6. მასობრივი ფიზიკური კულტურის განყოფილება — უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 1

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებისა და დებულებით გათვალისწინებული საბუთების მიღების ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

ჩვენი მისამართია: 380062, თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ა, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტელეფონი: 22-55-87.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05601